# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 105

„19" დეკემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის" (ს/ნ. 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის" (ს/ნ. 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 დეკემბრის №25.2019.2265 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის" (ს/ნ. 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3900 (სამი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე